სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/270

ქ. თბილისი 18 ოქტომბერი 2018

სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტრუქტურული ცვლილებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის, ზ. წვერაიძის 2018 წლის 26 სექტემბრის №01-09-33/5099 მოხსენებითი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ოქტომბრის №01-05-2/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე გაუქმდეს ინფორმატიკის დეპარტამენტი (№802) და ხელსაწყოთმშენებლობის , ავტომატიზაციისა და დ მართვის სისტემების დეპარტამენტი (№812);
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცება;
3. საკითხს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), სხდომაზე წარადგენს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი, ზ. წვერაიძე.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე